

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა  
ასოციაციამ კიდევ ერთი განაცხადი  
გააგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვის  
ევროპულ სასამართლოში**

2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კიდევ ერთი განაცხადი გააგზავნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. განაცხადი შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციის  ინსტიტუტი A  წევრების დაკავებასა და 30 დღიანი პატიმრობის ფაქტს.

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



2006 წლის 29 ივნისს სააპელაციო სასამართლოს ებოში  ინსტიტუტის  წევრები ირაკლი ვაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი ა საჯაროდ გამოხატავდნენ თავიანთ მოსაზრებას ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. ისინი ხმის გამაძლიერებლის ე.წ. მეგაფონის საშუალებით მოუწოდებდნენ სასამართლოს მიუკერძოებლობისკენ და დამოუკიდებელ ტელეარხ  A დამფუძნებლების, შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის განთავისუფლებას მოითხოვდნენ. აქციის დაწყებიდან დაახლოებით 5 წუთში სასამართლოს შენობიდან გამოვიდნენ მანდატურები და ზემოაღნიშნული პირები ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დააკავეს. შემდგომში ისინი სააპელაციო სასამართლოს შენობაში შეიყვანეს და ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს. მოგვიანებით, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ ეკა ტყეშელაშვილმა სსსკ  208-ე მუხლზე დაყრდნობით ადგილზე თათბირითა და ზეპირი მოსმენის გარეშე განმცხადებლებს 30 დღიანი პატიმრობა შეუფარდა. შესაბამისად, პატიმრობის შეფარდების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ არც უშუალოდ განმცხადებლებს და არც მათ ადვოკატებს. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით განკარგულება არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას.

განმცხადებლები თვლიან რომ მათ მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-5, მე-6, მე-10, მე-11, მე-13 და მე-7 ოქმის მეორე მუხლი.